



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო სენაკის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: **40-402205977**
თარიღი: **28/02/2022**
პინი: **9367**

ადრესატი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გეგზავნებათ, სენაკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
დანართი 29 ფურცელი.
პატივისცემით,

ვახტანგ გადელია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



სენაკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

I თავი.

სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
1	2	3	4	5	6	7
I. შემოსავლები	19863,2	12516,0	7347,3	20611,5	13278,0	7333,5
გადასახადები	10982,2	10982,2	0,0	11689,7	11689,7	0,0
გრანტები	7592,3	245,0	7347,3	7571,3	237,8	7333,5
სხვა შემოსავლები	1288,8	1288,8	0,0	1350,5	1350,5	0,0
II. ხარჯები	10278,2	9632,1	646,1	9735,5	9098,3	637,2
შრომის ანაზღაურება	1927,1	1927,1	0,0	1819,9	1819,9	0,0
საქონელი და მომსახურეობა	1593,1	1112,5	480,6	1443,3	971,6	471,7
პროცენტი	35,0	35,0	0,0	26,6	26,6	0,0
სუბსიდიები	5433,3	5433,3	0,0	5333,6	5333,6	0,0
გრანტები	30,0	30,0	0,0	30,0	30,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	684,8	684,8	0,0	684,5	684,5	0,0
სხვა ხარჯები	574,9	409,3	165,5	397,6	232,1	165,5
III. საოპერაციო სალდო	9585,0	2883,9	6701,1	10876,0	4179,7	6696,3
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	11306,2	4233,5	7072,7	9870,0	3222,3	6647,7
ზრდა	11506,2	4433,5	7072,7	10126,6	3479,0	6647,7
კლება	200,0	200,0	0,0	256,6	256,6	0,0
V. მთლიანი სალდო	-1721,1	-1349,6	-371,5	1006,0	957,4	48,7

VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-1772,5	-1400,9	-371,5	954,7	906,0	48,7
ზრდა	0,0	0,0	0,0	954,7	906,0	48,7
ვალუტა და დეპოზიტები	0,0			954,7	906,0	48,7
კლება	1772,5	1400,9	371,5	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1772,5	1400,9	371,5	0,0	0,0	
VII. ვალდებულებების ცვლილება	-51,3	-51,3	0,0	-51,3	-51,3	0,0
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	51,3	51,3	0,0	51,3	51,3	0,0
საშინაო	51,3	51,3	0,0	51,3	51,3	0,0
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

შემოსულობების სახეების დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
შემოსულობები	20063,2	12716,0	7347,3	20868,2	13534,6	7333,5	104,0	106,4	99,8
შემოსავლები	19863,2	12516,0	7347,3	20611,5	13278,0	7333,5	103,8	106,1	99,8
არაფინანსური აქტივების კლება	200,0	200,0	0,0	256,6	256,6	0,0	128,3	128,3	
გადასახდელები	21835,7	14116,9	7718,8	19913,5	12628,6	7284,8	91,2	89,5	94,4
ხარჯები	10278,2	9632,1	646,1	9735,5	9098,3	637,2	94,7	94,5	96,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	11506,2	4433,5	7072,7	10126,6	3479,0	6647,7	88,0	78,5	94,0
ვალდებულებების კლება	51,3	51,3	0,0	51,3	51,3	0,0	100,0	100,0	
ნაშთის ცვლილება	-1772,5	-1400,9	-371,5	954,8	906,0	48,7			

ა) საგადასახადო შემოსავლები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ქონების გადასახადი	1450,0	1843,5	127,1
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1150,0	1236,8	107,6
ფიზიკურ პირთა ქონება გარდა მიწისა	0,0	19,3	
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	110,0	385,6	350,6
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	190,0	201,7	106,2
დამატებული ღირებულების გადასახადი	9532,2	9846,3	103,3
გადასახადები სულ	10982,2	11689,7	106,4

ბ) გრანტები

დასახელება	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	50,0	50,0	0,0	50,0	50,0		100,0	100,0	
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	7542,3	195,0	7347,3	7521,3	187,8	7333,5	99,7	96,3	99,8
მიზნობრივი ტრანსფერი დეღე გირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	618,2	195,0	423,2	609,3	195,0	414,3	98,6	100,0	97,9
კაპიტალური ტრანსფერი	6924,1		6924,1	6919,2		6919,2	99,9	0,0	99,9
სხვა				-7,2	-7,2				
გრანტები სულ	7592,3	245,0	7347,3	7571,3	237,8	7333,5	99,7	97,1	99,8

გ) სხვა შემოსავლები

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	პროცენტი
შემოსავლები საკუთრებიდან	325,0	330,9	101,8
პროცენტები	80,0	182,7	228,4
დივიდენდები	80,0	10,0	12,5
რენტა	165,0	138,3	83,8
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	154,0	113,6	73,8
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	145,0	92,6	63,9
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0,0	0,2	
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	45,0	56,9	126,5
სანებართვო მოსაკრებელი	100,0	35,5	35,5
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები)	9,0	20,9	232,8
ჯარიმები, სანქციები და საურავები	800,0	859,5	107,4
ტრანსფერი რომლებიც არ არის კლასიფიცირებული	9,8	46,4	474,9
სხვა შემოსავლები სულ	1288,8	1350,5	104,8

დ) არაფინანსური აქტივების კლება

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	100,0	100,4	100,4
შენიშვნა ნაგებობები	100,0	100,4	100,4
არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან	100,0	156,2	156,2
შემოსულობა მიწის გაყიდვიდან	100,0	156,2	156,2
არაფინანსური აქტივების კლება სულ	200,0	256,6	128,3

ე) ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	პროცენტი
შრომის ანაზღაურება	1927,1	1819,9	94,4
საქონელი და მომსახურეობა	1593,1	1443,3	90,6
პროცენტი	35,0	26,6	75,9
სუბსიდიები	5433,3	5333,6	98,2
გრანტები	30,0	30,0	100,0
სოციალური უზრუნველყოფა	684,8	684,5	100,0
სხვა ხარჯები	574,9	397,6	69,2
ხარჯები სულ	10278,2	9735,5	94,7

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდა

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	11506,2	10126,6	88,0
არაფინანსური აქტივების ზრდა სულ	11506,2	10126,6	88,0

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	პროცენტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი	362,2	291,2	80,4
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	10470,3	9276,3	88,6
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0,0	0,0	0,0
04 00	განათლება	92,6	87,0	93,9
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	581,1	472,2	81,2
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0

ზ) ვალდებულებები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
საშინაო კრედიტორები	51,3	51,3	100.00
ვალდებულებების კლება	51,3	51,3	100.00

ვალდებულებების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ 2015-2018 წლებში სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებულ სესხის (დასუფთავების სპეც ტექნიკა და 100 ურნა) დაფარვას. მფგ-ის მიმართ მუნიციპალიტეტის სასესხო დავალიანება 2020 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 282,387 ათას ლარს, ხოლო 2021 წლის 1 იანვრისათვის დაიფარა - 51,3 ათ.ლარი;

თ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 2073,0 ათასი ლარი მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთიდან 371,5 ათასი ლარი მიიმართა, მათ შორის: საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31.12 №2577 განკარგულება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტიდან გზების რეაბილიტაციაზე, კეთილმოწყობის სამუშაოებზე, საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე, მოსწავლეების ტრანსპორტირებაზე და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით -265,8 ათ.ლარი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12.02.№215 განკარგულება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებაზე 3,4 ათასი ლარი, საქართველოს მთავრობის 22.02.2019 წლის №45 განკარგულება სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან - 0,6 ათასი ლარი, საქართველოს მთავრობის 31.12.2019 წლის №2752 განკარგულება სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან-42,9 ათასი ლარი, ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტებში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09.01. № 27 განკარგულება - 59,0 ათასი ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან 1400,9 ათ.ლარი მიიმართა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისათვის.

2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით ფინანსური აქტივების კლება განისაზღვრა 1772,5 ათასი ლარით. ფაქტიურად კი (ანუ არსებული ნაშთიდან ბიუჯეტში მიიმართა) 1126,1 ათასი ლარი, ხოლო 2021 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე სულ ნაშთმა შეადგინა 764,1 ათასი ლარი. აღნიშნული სახსრები მიზნობრიობა შემდეგია:

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ანგარიშზე ირიცხება საბიუჯეტო სახსრების ნაშთი 3027,7 ათასი ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთია 715,8 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლების ნაშთია 2311,9 ათასი ლარი, მათ შორის: კრედიტორული დავალიანება დასაფარი 346,8 ათასი ლარი, ხოლო თავისუფალი ნაშთია 1965,1 ათასი ლარი.

	დასახელება	ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის
1	საქართველოს მთავრობის 2017 წლის 06.07 №1394 განკარგულება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიება	3.9
2	საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24.10 №1951 განკარგულება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიება	43.1
3	საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12.02.№215 განკარგულება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიება	4.3
4	საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15.03. №557 განკარგულება სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამა	142
5	საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18.01.№136 განკარგულება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტი	71.1
6	საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31.12 №2577 განკარგულება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტი	243.3

7	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტებში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18.01. № 13 განკარგულება	4.3
8	საქართველოს მთავრობის 22.02.2019 წლის №45 განკარგულება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.6
9	საქართველოს მთავრობის 31.12.2019 წლის №2752 განკარგულება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	42.9
10	საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18.12. №2630 განკარგულება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტი	26.9
11	საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31.12. №2685 განკარგულება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტი	83.1
12	საქართველოს მთავრობის 05.02.2021 წლის №168 განკარგულება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	49.6
13	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტებში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04.02 №147 განკარგულება	0.7
	სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთია	715,8
	საკუთარი შემოსავლების ნაშთია	2311,9
	სულ ნაშთია	3027,7

ი) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით


ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	პროცენტი
1	2	3	6	
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3364,2	3364,2	100,0
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3244,7	3244,7	100,0
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3244,7	3244,7	100,0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	88,7	88,7	100,0
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	30,8	30,8	100,0
7.2	თავდაცვა	131,0	132,0	100,8
7.2.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	131,0	132,0	100,8
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	8723,2	7876,1	90,3
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	7,4	8,4	113,5
7.4.2.1	სოფლის მეურნეობა	7,4	8,4	113,5
7.4.5	ტრანსპორტი	6823,8	6307,9	92,4
7.4.5.1	სავაჭრომობილო ტრანსპორტი და გზები	6823,8	6307,9	92,4
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები	100,0	99,5	99,5
7.4.7.3	ტურიზმი	100,0	99,5	99,5
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1792,0	1460,3	81,5
7.5	გარემოს დაცვა	798,3	771,6	96,7
7.5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	484,9	474,3	97,8
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	313,4	297,3	94,9
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3136,6	2611,6	83,3
7.6.1	ბინათმშენებლობა	290,2	167,5	57,7
7.6.4	გარე განათება	878,1	844,5	96,2

7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1968,3	1599,7	81,3
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	593,6	591,9	99,7
7.7.1	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	41,9	41,9	100,0
7.7.1.1	ფარმაცევტული პროდუქცია	41,9	41,9	100,0
7.7.2	ამბულატორიული მომსახურება	3,5	3,2	92,3
7.7.2.1	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	3,5	3,2	92,3
7.7.3	სავადმყოფოების მომსახურება	348,6	348,5	100,0
7.7.3.1	ზოგადი პროფილის სავადმყოფოების მომსახურება	348,6	348,5	100,0
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	199,7	198,3	99,3
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2136,4	1997,7	93,5
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1106,5	1088,7	98,4
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	888,6	777,1	87,5
7.8.3	ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა	35,0	35,0	100,0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	80,0	80,0	100,0
7.8.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	26,3	16,9	64,1
7.9	განათლება	2355,1	2319,9	98,5
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	1741,8	1739,7	99,9
7.9.2	ზოგადი განათლება	567,5	543,8	95,8
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	567,5	543,8	95,8
7.9.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	45,8	36,3	79,3
7.10	სოციალური დაცვა	597,4	597,4	100,0
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	27,0	27,0	100,0
7.10.1.1	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	33,3	33,3	100,0
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	126,6	126,6	100,0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	437,4	437,4	100,0
	სულ	21835,7	20262,3	92,8

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელის დაფინანსებამ შეადგინა 19913,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (გეგმა 21835,7) 91,2 პროცენტია.

გადასახდელის პროცენტული შეფარდების
დიაგრამა 2020-2021 წწ.



პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	პროცენტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი	3495.2	3159.1	90.4
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	11903.2	10521.4	88.4
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	754.9	729.6	96.6
04 00	განათლება	2355.1	2319.9	98.5
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2136.4	1997.7	93.5
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1191.0	1185.9	99.6

1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

2021 წელს მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 3159,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეოპოლიტიკური მაჩვენებლის (გეგმა 3495,2 ათასი ლარი) 90,45 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები:

1. მმართველობითი ხარჯი, კერძოდ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 742,2 ათასი ლარით; მუნიციპალიტეტის მერია - 2186,4 ათასი ლარით, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) – 122,6 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა 60,0 ათასი ლარი)ო
2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა 50,0 ათასი ლარი) მერის ბრძანების საფუძველზე მიმართულია 49,250 ათასი ლარი.

№	პროგრამული კოდი	ბრძანების ნომერი	ხარჯის დასახელება	თანხა ათასი ლარი
	02 03 (სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია)	840.4021267 24/09/2021	სენაკში დევნილებით დასახლებულ სამხედრო ქალაქში გამავალ დელეგირებულ ხაზაზე მდებარე ხიდის გამაგრებისა და ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებისა და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე	40,0
	02 06 კეთილმოწყობის ღონისძიებები)	840.4021224 10/08/2021	აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის ასაწყობი შენობა (სავლე ჰოსპიტალი/კონტეინერის) შექმნა	9,250

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის მომსახურებაზე გაიწია 77,9 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი ვალდებულება შემცირდა 51,3 ათასი ლარით, მომსახურების პროცენტმა შეადგინა 26,6 ათასი ლარი, ხოლო კომპიუტერი და მრავალფუნქციური პრინტერის აპარატი ღირებულებით 27,0 ლარის გადახდილია თანადაფინანსება - 3,9 ათასი ლარი.

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 09.03.2021 წლის განკარგულება №21.256.287 და მიღება -ჩაბარების აქტის საფუძველზე გადმოგვეცა სატრანსპორტო საშუალება ხუთი ავტობუსი ღირებულებით 206,0 ათასი ლარი.

ფედერალური დახმარების ჯილდოს სახით გადმოგვეცა გრეიდერი 297,7 ათასი ლარის ღირებულების.

ინფრასტრუქტურის სამსახურის გამართული მუშაობისთვის გამოცემული გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ტექნიკური აღჭურვილობის მიზნით გადმოგვეცა: სტაციონალური კომპიუტერი, ლეპტოპები 7 ცალი და პრინტერი 2 ცალი, ღირებულებით 25,5 ათასი ლარის ღირებულების

3. საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა პროგრამიდან საქართველოში საგანგებო მდგომარეობასთან (covid19) დაკავშირებით დახარჯული იქნა 29,8 ათასი ლარი, მათ შორის დაფინანსდა ისეთი ღონისძიებები როგორცაა უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის დასახმარებლად საკვები პროდუქტები, შექმნილია პანდემიისგან დასაცავი საშუალებები: სადენზიფიკაციო ხსნარები, ქუჩებისა, ტროტუარების, სადარბაზოების შესაწამლი ხსნარები, პირბადეები.

2) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (ორგანიზაციული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 10521,4 ათასი ლარით, რაც (გეგმა 11902,2) 88, 4 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	პროცენტი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	11903,162	10521,358	88,391
02 01	გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვა	6823,819	6307,945	92,440
02 02	გარე განათების რეაბილიტაცია	878,100	844,531	96,177
02 03	ბინათმშენებლობა	290,209	167,451	57,700
02 04	სოფლის მეურნეობის ღონისძიება	7,400	0,000	0,000
02 05	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	450,000	433,396	96,310
02 06	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები	1895,279	1538,765	81,189
02 07	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	73,000	60,887	83,407
02 08	სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია	43,351	42,006	96,877
02 09	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	100,000	99,500	99,500
02 10	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	781,437	688,438	88,099
02 12	რეგიონის ფონდის თანადაფინანსება	560,567	338,439	60,374

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციას თან დაკავშირებული ხარჯები.

ა) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა- შენახვა (პროგრამული კოდი 02 01)

2021 წლის განმავლობაში, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქ სენაკში დაიგო 19,7 კმ ასფალტის საფარი.

ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულში სასირიოს უბანში წყალსადენის სათაო ნაგებობის გასწვრივ ასფალტის საფარის

მოწყობა

- ქუთაისის ქუჩაზე ც.დადიანის ქუჩიდან თეკლათის დედათა მონასტრის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია და ორმული შეკეთება
- ქუთაისის ქუჩის მეორე შესახვევის რეაბილიტაცია
- შონიას ქუჩის რეაბილიტაცია
- სილოვან შამათავას ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია
- სახოკიასა და თვდადებულის ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია
- ხორშის საგუგუნაოს უბანში ხიდამდე მისასვლელი გზა
- სახოკის ქუჩიდან შხეფის ციხემდე მისასვლელი გზის და მოედნის ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა
- ჭავჭავაძის ქუჩიდან რკინიგზის მაგისტრალამდე სანიაღვრე არხზე რკ ბეტონის ჯებირების მოწყობა (არხის ორივე მხარეს)
- ზანა უშაფათის გზაზე მდინარე ციფზე არსებული ხიდის სათავისის რეაბილიტაცია
- ზანა უშაფათის გზაზე მდინარე ციფზე არსებული ხიდის სათავისის რეაბილიტაცია
- უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდის რეაბილიტაცია
- ლეძამამეს ადმინისტრაციულ ერთეულში ჯოლევის უბანში გზის რეაბილიტაცია
- ნოქალაქევის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
- შხეფის ქუჩის ასფალტირება
- არსენას ქუჩის ორი ჩიხის რეაბილიტაცია
- შელეგიას ქუჩის რეაბილიტაცია
- ხორშის ცენტრამდე გზის ასფალტირება
- სოფ ძველი სენაკის საარჩაიოს უბნის გზის ასფალტირება
- ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულში სასირიოს უბანში რკინიგზის გასწვრივ ასფალტის საფარის მოწყობა
- ბელიაშვილის ქუჩის ასფალტირება
- ნაფეტვარიძის ქუჩის რეაბილიტაცია (დეპოს მიმართულებით)
- კანკიას I შესახვევის რეაბილიტაცია
- ძველი სენაკის ცენტრის კეთილმოწყობა ცენტრამდე, ტროტუარის მოწყობა ორივე მხარეს და საბავშვო ბაღამდე გზის ასფალტირება
- თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში რკინიგზის გასწვრის გზის ასფალტირება
- ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის ზემო სორტაში ქვედა მხარის გზის რეაბილიტაცია
- სოფ მეორე ნოსირის საბარკალაიოს უბნის გზის ასფალტირება (სიგანე 4.20)
- თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულიდან მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ ბათარიისკენ მიმავალი გზის ასფალტირება
- ჭავჭავაძის ქუჩაზე სამხატვრო გალერეიდან ხორავას ქუჩამდე და ხორავას ქუჩის რეაბილიტაცია
- მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია
- მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია
- ნოქალაქევი მუზეუმ ნაკრძალის მიმდებარედ პარკინგის ასფალტირება

- ნადარიშვილის ქუჩამდე ასფალტის საფარის მოწყობა
- ნუგუბიძის განშტოების ასფალტირება კანკიას ქუჩამდე
- ჩხეთიას ქუჩის I ჩიხის ზედა მონაკვეთის და სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
- თბილისის ქუჩის II შესახვევში (დ აღმაშენებლის ქუჩამდე) რკინა ბეტონის და ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა
- თედო სახოკიას ქუჩის რეაბილიტაცია (ასფალტირება)
- შენგელიას ქუჩის ასფალტირება ჭავჭავაძის ქუჩის რკინიგზამდე
- კანკიას ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია
- ჯორჯაძის ქუჩის რეაბილიტაცია რუსთაველის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე
- ქალაქ სენაკში ნატოჩაოს უბანში მშვიდობის ქუჩის რეაბილიტაცია
- ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულში სოფელ კოტიანეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
- ეწ საკირეს მთაზე არსებული ჯვართან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, პარკინგის და განათების მოწყობა ლედ-სანათებით
- ლეძამამეს ადმინისტრაციულ ერთეულში ლეგოგიეს უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა
- ცერცვაძის ორი ჩიხის რეაბილიტაცია
- თამარის ქუჩის რეაბილიტაცია
- შალვა დადიანის ქუჩის რეაბილიტაცია
- ლეძამამე-ფოცხოს დამაკავშირებელი გზის დაზიანებული ნაწილის რეაბილიტაცია და ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ პატარა ზანაში მდ. ზანაზე არსებული ბეწვის ხიდის რეაბილიტაცია
- ლეძამამე-ფოცხოს დამაკავშირებელი გზის დაზიანებული ნაწილის რეაბილიტაცია და ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ პატარა ზანაში მდ. ზანაზე არსებული ბეწვის ხიდის რეაბილიტაცია
- ქალაქ სენაკში კალანდარიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია
- ქალაქ სენაკში კალანდარიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია
- ზაზა ფაჩულიას სახელობის სტადიონის წინ მერაბ კოსტავას ქუჩაზე პარკინგის მოწყობა
- ყოფილ საკირესთან არსებულ მშენებარე ტაძართან მისასვლელი გზის მოწყობა
- ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია
- ვაჩნაძის ქუჩიდან დავით წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრამდე მისასვლელი გზის მოხრეშვა მოშანდაკება
- ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში "დედამოკას" თერმულ წყლებთან ჩასასვლელი გზის ელ განათების მოწყობა
- ქალაქ სენაკში სანკტ-პეტერბურგის ქუჩაზე ჯებირის რკინა-ბეტონით მოწყობა
- ძმათა სასაფლაოს შიდა გზის მოწყობა ცემენტო-ბეტონის საფარით
- ცენტრალურ სტადიონთან შენგელიას ქუჩიდან შესასვლელი მოედნის ასფალტირება 1500კვ.მ-ზე და არხის მოწყობა

ბ) გარე განათების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02)

განხორციელდა ა(ა)იპ საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის სუბსიდირება.

2021 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყო გარე განათების ახალი ქსელი 31 ქუჩაზე. ქსელის მოსაწყობად გაიხარჯა 131 ცალი სანათი ლამპიონი E-27, 254 ცალი ლედ. დიოდური სანათი 50ვტ, 200 ცალი ლედ. დიოდური სანათი 150ვტ., 9706 გ/მ სიპ კაბელი 2X16მმ. ამავე წელს გამოიცვალა 30ვტ. დიოდური ნათურა 1870 ცალი, სიპ კაბელი 2X16მმ. -294 გ/მ, სანათი ლამპიონი 100 ცალი.

გ) ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 02 00)

განხორციელდა სამუშაოები:

- ჭავჭავაძის №87, №89 და მშვიდობის №221 მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია
- ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის 126-ში საცხოვრებელი სახლის ფასადების რეაბილიტაცია
- ქ. სენაკში ჭავჭავაძის ქ 103,105 და წერეთლის ქ 1 კორპუსების ფასადების კეთილმოწყობა
- საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია

დ) საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა (პროგრამული კოდი 02 05)

განხორციელდა საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა:

- საავტომობილო გზების სარეაბილიტაციოდ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა
- საზედამხედველო მომსახურების გაწევის ანაზღაურება
- სენაკის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა
- სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის ადმინისტრაციული ერთეულისა და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

ე) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 02 05)

განხორციელდა:

- სასიგნალო კაბელის შესყიდვა
- მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შშმ პირისათვის ბაგირიანი ამწე მექანიზმის შეძენა
- ზ/ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ სირიაჩქონში ელ გაყვანილობის მოწყობა
- წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური მიმდინარე წლის.
- წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური მიმდინარე წლის.
- სტალინის ქუჩა #54-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის წინ ეზოს შემოკავების რეაბილიტაცია
- სტალინის ქუჩა #69 კორპუსის (ყოფილი #8 საჯარო სკოლა) ეზოს შემოკავება რეაბილიტაცია და რკინა ბეტონის ტროტუარის მოწყობა სტალინის ქუჩის გასწვრივ
- აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული რკინიგზის ქვეშ გასასვლელზე ხიდის რეკონსტრუქცია
- ავ. ხორავას თეატრის უკანა მოედნისა და მიმდებარედ არსებული არასაცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები
- შპს "სენაკის სამშობიარო სახლის" სარეაბილიტაციო სამუშაო
- ჭავჭავაძის ქუჩის გასწვრივ სანიაღვრე არხის მოწყობა
- ქალაქ სენაკში საინფორმაციო- მაჩვენებელი საგზაო ნიშნების განთავსების სამუშაოები

- რუსთაველის ქუჩა №220-თან ჯგბირის ამადლება და აღმაშენებლის ქუჩის გასწვრივ სანიაღვრე არხის მოწყობა
- ჭავჭავაძის № 91, №74 და წმინდა ნინოს №1-ში არსებული ეზოების კეთილმოწყობა
- მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელი გზის განათების მოწყობა ლედ-ნათურებით
- ქალაქ სენაკში კობახიძის ქუჩის ორივე მხარეს სანიაღვრე არხის მოწყობა
- ცენტრალური საავადმყოფოს ტერიტორიაზე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია
- ქალაქ სენაკში საავადმყოფოს ტერიტორიაზე სამშობიარო სახლის მიმდებარედ საკანალიზაციო სისტემის მოწყობა
- მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსაცდელის მოწყობა
- პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერების შექმნა
- ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის ასაწყობი შენობა (საველე ჰოსპიტალი/კონტეინერის) შექმნა
- ტექნო ჰაბის წინ წერეთლის ქუჩაზე ტროტუარის მოყობისა და ეზოს კეთილმოწყობა
- სენაკში სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია
- ვიდეოსათვალთვალო კამერების (სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი და ზოგადი ხედვის) მოვლა-პატრონობა
- სენაკში მშვიდობის ქუჩაზე მე-5 საჯარო სკოლიდან კოსტავას ქუჩამდე ტროტუარის მოწყობა
- სენაკში მშვიდობის ქუჩაზე მშენებარე ეკლესიასთან ტროტუარის მოწყობა
- გენო ადამიას სახელობის სენაკის №1 საჯარო სკოლის შემოღობვა
- თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ სკვერის მოწყობა
- სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდებარედ არსებული სკვერის მოწყობა
- ნაგავშიდი ავტომობილის შექმნა
- ქუჩების სარეაბილიტაციოდ საზედამხედველო მომსახურება
- ქალაქ სენაკში მდებარე პარკში მზის ფოტოელექტრონული სისტემის სკამების მოწყობა
- გარე განათების მოსაწყობად ელ ქსელზე მომხმარებლის მიერთების საფასური
- ნაძვის ხის შექმნა
- გასანათებელი მოწყობილობებისა და ელექტრო ნათურების შექმნა
- სიჩქარის შემზღუდავი ბარიერებისა და საგზაო ნიშნების შესყიდვა
- ქალაქის ცენტრში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის გვერდით საპირფარეშოს რეაბილიტაცია და მანქანის მაკეტი
- ლეძამამეს ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი პიონერთა ბანაკის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების მიზნით ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები

ვ) სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05)

2021 წელს რამდენიმე ეტაპად გაიცემა და გაიწმინდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 30 სასაფლაო, საერთო ფართობით (34.6 ჰა). შემოღობილი იქნა 150 გრძივი მეტრი მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, სახარბედიოს უბანში მდებარე სასაფლაო.

2021 წელს მოხდა 3320 გრძივი მეტრი სანიაღვრე არხების, ხიდბორგირების გაწმენდითი სამუშაოები ექსკავატორით, 12800 გრძივი მეტრი შიდა სასაფლაოების გზებისა და ქალაქის ტერიტორიების მოშანდაკება ავტოგრეიდერით.

ზ) სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 07)

2021 წელს რამდენიმე ეტაპად გაივალა და გაიწმინდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 30 სასაფლაო, საერთო ფართობით (34.6 ჰა). შემოდობილი იქნა 150 გრძივი მეტრი მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, სახარბედიოს უბანში მდებარე სასაფლაო.

თ) სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია (პროგრამული კოდი 02 08)

განხორციელდა:

- სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია (შამათავას ქუჩის გასწვრივ ღელეზე ჯებირებისა და გაბიონების მოწყობა, ეკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ შრომისკარის სათათარიშვილოს უბანში არსებული მილ ხიდის დაზიანებული სავალი ნაწილის რეაბილიტაცია მონოლითური რკინა ბეტონით , ასევე მდინარე ეკუსკურზე ხიდის სათავისების მოწყობა გაბიონით და გზის გვერდულის გამაგრება ჯებირებით, ხორშის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ ციხეთის ცენტრალურ გზაზე ჩაქცეული მონაკვეთის აღდგენა და სავალი ნაწილის მოხრეშვა)
- სენაკში დევნილებით დასახლებულ სამხედრო ქალაქში გამავალ ღელე ხაბაზეთზე მდებარე ხიდისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა
- სენაკში დევნილებით დასახლებულ სამხედრო ქალაქში გამავალ ღელე ხაბაზეთზე მდებარე ხიდის გამაგრებისა და ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები

ი) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა(პროგრამული კოდი 02 09)

2021 წელს ტურიზმის კუთხით განხორციელდა:

- მარკეტინგული მომსახურება მერიის ვებ გვერდზე
- ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში ბორანის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა
- ააიპ.სამეგრელო -ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის დაფინანსება

კ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 10)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში : სოფელ შუა ეკში მდებარე საჯარო სკოლაში ჭაბურღილის მოწყობა; ცენტრალური გზის ორმული შეკეთება; სოფელ შრომისკარში 1000 მილიმეტრიანი მილხიდის მოწყობა; სოფლებში შრომისკარსა და შუა ეკში ცხაურების მოწყობა;
- ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფელ ციხეთში ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობა და ნაწილობრივ გზის მოხრეშვა; სოფელ საადანაიოში სავალი გზის მოხრეშვა და ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია; სოფელ პატარა ზანაში ცხაურისა და გარე განათების მოწყობა; სოფელ საგუგუნაოში მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა; სოფელ შუა ხორშში შიდა საუბნო გზების მოხრეშვა (სკურია, მეურნეობა, საგვასალიო)
- ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში: გარე-განათების მოწყობა სორტის, კოტიანეთისა და ზემო სორტის სოფლებში; სოფელ მე-2 ნოსირის ცენტრალური სკვერის მოწყობა; სოფელ ძვ.სენაკში მინი სპორტული მოედნისათვის ხელოვნური საფარის მოწყობა; სოფელ საჩიქობავოში 200 გრ. მეტრი არხის ამოწმენდა, 2 ხიდ-ბოგირის სათავისის მოწყობა;

- **თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში:** სოფელ თეკლათში საბავშვო ბაღის შემოღობვა 200 მეტრზე; თეკლათი-ბათარის გზაზე ცხაურის და გარე-განათების მოწყობა; სოფელ რეკას საყანე ფართობების შემოღობვა ეკლიანი მავთულით; სოფელ გოლასკურში გარე-განათების მოწყობა
- **გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში:** სოფელ გეჯეთი-წყემის დამაკავშირებელ გზაზე გარე-განათების მოწყობა არსებულ ბოძებზე; სოფელ გეჯეთში ცენტრის კეთილმოწყობა; სოფელ გეჯეთში საოჩიგაოს უბანში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია
- **მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში:** სოფელ ბათარიაში რკინიგზის ხიდის მიმართულებით მილხიდის რეაბილიტაცია; სოფელ ბათარიაში რკინიგზის ხიდის მიმართულებით მილხიდის რეაბილიტაცია; სოფელ საწულეისკიროში სავალი გზის ცემენტო-ბეტონის საფარით მოწყობა; სოფელ ბათარიაში რკინიგზის მიმართულებით გარე-განათების მოწყობა
- **უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში:** სოფელ უშაფათში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (მოხრეშვა-დაგრეიდერება); სოფელ უშაფათში ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია (ჟოლობის კუბზე თუნუქის წყლის საწრეტის გამოცვლა); სოფელ ლეკოკაიეში მოსაცდელის მოწყობა; სოფელ ლეგოგინეში ხიდის რეაბილიტაცია; სოფელ უშაფათში საბავშვო ბაღში კიბის საფეხურების გამოცვლა.
- **ლემამამეს ადმინისტრაციულ ერთეულში:** სოფელ ლემამამეს ცენტრის კეთილმოწყობა; სოფელ ბეთლემში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; სოფელ ლეგოგინეში ცენტრალ გზაზე არსებული მილხიდის რეაბილიტაცია და გარე-განათების მოწყობა
- **ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში:** სოფელ ზემო ფოცხოში შიდა გზების ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობა 5 ადგილას; სოფელ ფოცხოში საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია, წყალსაწრეტისა და ჟოლობის მოწყობა, შენობის კუბის თუნუქის გამოცვლა; სოფელ ფოცხოში გზების მოხრეშვა-მოშანდაკება და ცხაურის მოწყობა
- **ზანის ადმინისტრაციულ ერთეულში:** სოფელ საშურდაიოში გარე-განათების მოწყობა არსებულ ბოძებზე და შიდა გზების მოხრეშვა-მოშანდაკება; სოფელ ზანის ცენტრში გარე-განათების ბოძების გასწორება და განათების მოწყობა, შიდა გზების მოხრეშვა-მოშანდაკება; სოფელ საესებუოში არსებულ ბოძებზე გარე-განათების მოწყობა; სოფელ სატყეუჭაოში შიდა გზების მოხრეშვა-მოშანდაკება, 4 მილხიდისა და ერთ-ერთ მილხიდზე სათავისების მოწყობა; სოფელ ეწერში ერთი ცხაურის მოწყობა
- **ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში:** სოფლებში ნოსირში, შუა ნოსირში, საოდიშარიოში, საკილასონიოში გარე-განათების მოწყობა; სოფელ შუა ნოსირში საბავშვო ბაღის შემოღობვა და საჩრდილობელის მოწყობა; სოფელ სასოლომონიოში მილხიდის მოწყობა; სოფელ შუა ნოსირში მემორიალის რესტავრაცია და ცენტრის კეთილმოწყობა; სოფელ საოდიშარიოში ხიდის რეაბილიტაცია; სოფელ საოდიშარიოს სასიმომონიოს უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა ბეტონით; სოფელ საბესელიოში მინი მოედნის რეაბილიტაცია
- **ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში:** სოფელ სირიაჩქონში გარე-განათების მოწყობა; სოფლის ცენტრში ამბულატორიის შემოღობვა; სოფელ მუხურში არხების ამოწმენდვა
- **ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში:** ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული; სოფელ საგადელიოს უბანში ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია; სოფელ ახალსოფლის ცენტრში გარე-განათების მოწყობა; სოფელ ისულაში გარე-განათების მოწყობა. სოფელ ისულაში, საყვანიოს უბანში გარე-განათების მოწყობა.
- **ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში:** სოფელ ჯიხას სასაფლაომდე მისასვლელი გზის ბეტონის საფარის მოწყობა და გზის გასწვრივ რკინა-ბეტონის არხის მოწყობა; სოფელ ჯიხაში სკვერის მოწყობა; სოფელ ლეზადათურიეში ახალ ხიდზე ტროტუარის მოწყობა; სოფელ ძიგიდერში ნაპირსამაგრი სამუშაოები

ლ) რეგიონის ფონდის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 12)

განხორციელდა რეგიონის ფონდის თანადაფინანსება (2,5%), მათ შორის:

- ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში სასირიოს უბანში წყალსადენის სათაო ნაგებობის გასწვრივ ასფალტის საფარის მოწყობა
- ქუთაისის ქუჩაზე ც.დადიანის ქუჩიდან თეკლათის დედათა მონასტრის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია და ორმული შეკეთება
- ქუთაისის ქუჩის მეორე შესახვევის რეაბილიტაცია
- შონიას ქუჩის რეაბილიტაცია

- სილოვან შამათავას ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია
- ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულში სასიროს უბანში წყალსადენის სათაო ნაგებობის გასწვრივ ასფალტის საფარის მოწყობა
- ქუთაისის ქუჩაზე ც.დადიანის ქუჩიდან თეკლათის დედათა მონასტრის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია და ორმული შეკეთება
- ქუთაისის ქუჩის მეორე შესახვევის რეაბილიტაცია
- შონიას ქუჩის რეაბილიტაცია
- ასათიანის ქუჩის განშტოების რეაბილიტაცია
- სამხედრო ქალაქში დევნილთა დასახლებაში ეზოების და გზის ასფალტირება
- მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ.ბათარიის მაშავების უბანში გზის რეაბილიტაცია
- ა.არჩაიას ქუჩის რეაბილიტაცია
- ჩხეტას ქუჩის პირველი ჩიხის რეაბილიტაცია
- ქიაჩელისა და ტაბიძის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაო (სანიაღვრე არხებით)
- ნოქალაქევის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
- სახოკის ქუჩიდან შხეფის ციხემდე მისასვლელი გზის და მოედნის ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა
- ჭავჭავაძის ქუჩიდან რკინიგზის მაგისტრალამდე სანიაღვრე არხზე რკეტონის ჯებირების მოწყობა (არხის ორივე მხარეს)
- ჭავჭავაძის 35 კორპუსის მიმდებარედ და რუსთაველის 126 კორპუსის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია
- სპორტ სკოლის იატაკის რეაბილიტაცია და სადრენაჟო სისტემის მოწყობა
- შხეფის ქუჩის ასფალტირება
- არსენას ქუჩის ორი ჩიხის რეაბილიტაცია
- შელეგიას ქუჩის რეაბილიტაცია
- ხორშის ცენტრამდე გზის ასფალტირება
- სოფ ძველი სენაკის საარჩაიოს უბნის გზის ასფალტირება
- ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულში სასიროს უბანში რკინიგზის გასწვრივ ასფალტის საფარის მოწყობა
- ბელიაშვილის ქუჩის ასფალტირება
- ნაფეტვარიძის ქუჩის რეაბილიტაცია (დეპოს მიმართულებით)
- კანკიას I შესახვევის რეაბილიტაცია
- ძველი სენაკის ცენტრის კეთილმოწყობა ცენტრამდე, ტროტუარის მოწყობა ორივე მხარეს და საბავშვო ბაღამდე გზის ასფალტირება
- თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში რკინიგზის გასწვრის გზის ასფალტირება
- ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში ზემო სორტაში ქვედა მხარის გზის რეაბილიტაცია
- სოფ მეორე ნოსირის საბარკალაიოს უბნის გზის ასფალტირება (სიგანე 4.20)
- თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულიდან მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ ბათარიისკენ მიმავალი გზის ასფალტირება
- ჭავჭავაძის ქუჩაზე სამხატვრო გალერიიდან ხორავას ქუჩამდე და ხორავას ქუჩის რეაბილიტაცია
- მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია

- ქალაქ სენაკში ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოები (კოლხეთის ქუჩის ასფალტირება, ნ.კანკიას ქუჩის II შესახვევის , ნუცუბიძის ქუჩის დამაკავშირებელი ხოფერიას ქუჩამდე გზის მონაკვეთის ასფალტირება და ქუთაისის ქუჩის ბოლოში დედათა მონასტრის მიმდებარედ რკ. ბეტონის საფარის მოწყობა ნუცუბიძის განშტოების ასფალტირება კანკიას ქუჩამდე, ჩხეტაის ქუჩის პირველი ჩიხის ზედა მონაკვეთის და სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, თბილისის ქუჩის მეორე შესახვევში (დ. აღმაშენებლის ქუჩამდე) რკინა ბეტონის და ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა, თედო სახოკიას ქუჩის რეაბილიტაცია (ასფალტირება)
- მენჯის ადმინისტრაციული ერთეულში სოფ. სახარბედიოში თბილის საამქროსთან (სასაფლაოს წინ) გამავალი გზის ბეტონის ბეტონის საფარის მოწყობა;
- "მმათა სასაფლაოს" შიდა გზის ასფალტირება და სანიაღვრე არხის მოწყობა
- აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული რკინიგზის ქვეშ გასასვლელზე ხიდის რეკონსტრუქცია
- ე.წ საკირეს მთაზე არსებული ჯვართან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, პარკინგის და განათების მოწყობა ლედ-სანათებით
- რუსთაველის ქუჩა №220-თან ჯებირის ამალღება და აღმაშენებლის ქუჩის გასწვრივ სანიაღვრე არხის მოწყობა
- ცერცვაძის ორი ჩიხის რეაბილიტაცია
- თამარის ქუჩის რეაბილიტაცია
- შალვა დადიანის ქუჩის რეაბილიტაცია
- ლეძამამე-ფოცხოს დამაკავშირებელი გზის დაზიანებული ნაწილის რეაბილიტაცია და სორშის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ პატარა ზანაში მდ. ზანაზე არსებული ბეწვის ხიდის რეაბილიტაცია
- ლეძამამე-ფოცხოს დამაკავშირებელი გზის დაზიანებული ნაწილის რეაბილიტაცია და ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ პატარა ზანაში მდ. ზანაზე არსებული ბეწვის ხიდის რეაბილიტაცია
- სოფელ ზანის საკვაშილას უბნის გზის ბეტონის საფარით მოწყობა
- ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის 126-ში საცხოვრებელი სახლის ფასადების რეაბილიტაცია
- ქ სენაკში, ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში სანაყინეს გვერდით გზის მოკირწყვლა და ასფალტირება
- ქალაქ სენაკში, ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე ტეხურის ლითონის ხიდთან და "დედამოკას" თერმულ წყლებთან ჩასასვლელი გზის რეაბილიტაცია
- სანაიას ქუჩაზე არსებული სტადიონის, ქუჩისა და ჩიხის რეაბილიტაცია სანიაღვრე არხებით
- აღმაშენებლის ქუჩაზე საკირესთან და შხეფში სტალინის ქუჩის მიმდებარედ (სახოკიას ქუჩის დასაწყისი) არსებული მინი მოედნების რემონტი
- ჭავჭავაძის № 91, №74 და წმინდა ნინოს №1-ში არსებული ეზოების კეთილმოწყობა
- მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელი გზის განათების მოწყობა ლედ-ნათურებით
- ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია
- სენაკის მუნიციპალიტეტის ბაგა ბადების სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაო
- სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზების სარეაბილიტაციო სამუშაო

- ახალისოფლის ადმინისტრაციული ერთეულის საჟვანოს უბნის გზის რეაბილიტაცია
- ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის სასიმონიოს უბანში გზის რეაბილიტაცია
- ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში საჩიქბაოს უბანში მუზეუმამდე მისასვლელი გზის ბეტონის საფარის მოწყობა
- იუსტიციის სახლის მიმდებარედ სკვერისა და კალათბურთის მოედნის მოწყობა
- ძვ.სენაკის ადმინისტრაციული ერთეულში სოფელ ზემო სორტა ზედა მხარის გზის რეაბილიტაცია
- საკალანდარიშვილოს სასაფლაოს შიდა გზის რეაბილიტაცია, იგორ ნარმანიას ქუჩის პირველი ჩიხის რეაბილიტაცია, აკაკი ელიავას ორი ჩიხის რეაბილიტაცია, ხორავას ქუჩის გასწვრივ ტროტუარის მოწყობა, სტალინის ქუჩაზე შხეფის სასაფლაოს მიმდებარედ, მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინ ტროტუარის მოწყობა მონოლითური რკ.ბეტონით

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვა 2021 წელს დაფინანსდა 729,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 96,6 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 474,3 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას; სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა -პატრონობა და განვითარება დაფინანსდა 249,3 ათასი ლარით, ხოლო უმეტესაწყოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაციას მოხმარდა 6,0 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	პროცენტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	754,9	729,6	96,6
03 01	ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანა	484,9	474,3	97,8
03 02	ქალაქის მწვანე საფარის შექმნა და არსებულის მოვლა პატრონობა	264,0	249,3	94,4
03 03	უმეტესაწყოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია	6,0	6,0	100,0

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობისთვის ყოველდღიურად ხდება 7,5 ჰა ქუჩების დაგვა-დასუფთავება. ყოველდღიურად დაგვილი, შეგროვილი და გატანილი მყარი ნარჩენების ოდენობა შეადგენდა საშუალოდ 16,5 ტონას. 2021 წელს დაგვილი, შეგროვილი და გატანილი მყარი ნარჩენების რაოდენობამ შეადგინა 6012 ტონა. ქალაქიდან და ავტომაგისტრალის პირას მდებარე სოფლებიდან(თეკლათი,

ნოსირი) ყოველდღიურად ხდებოდა ნარჩენების გატანა, ხოლო ყოველ მეორე დღეს გარე განაპირა სოფლებიდან და თავდაცვის სამინისტროს N2 ქვეითი ბრიგადის ტერიტორიიდან, რომელსაც ემსახურება 13 მ³ და 7 მ³. მოცულობის 2 (ორი) ერთეული სპეც ავტოსატრანსპორტო საშუალება და 5მ³ დაქირავებული თვითმცვლელი (SAZ). დასუფთავების მოსაკრებელზე ხელშეკრულება გაფორმებული იყო 228 იურიდიულ პირზე.

2021 წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპად ხორციელდებოდა ქალაქისა და მუნიციპალიტეტს ტერიტორიაზე არსებული სკვერების გაცეფვა და გაწმენდითი სამუშაოები, აგრეთვე ხორციელდებოდა არსებული სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2021 წლის განმავლობაში დაფინანსდა 2319,9 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 2355,1 ათასი ლარი, 98,5 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 1739,7 ათასი ლარი, საჯარო სკოლების დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 543,8 ათასი ლარი, განათლების ღონისძიებები დაფინანსდა 36,3 ათასი ლარით.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	პროცენტი
04 00	განათლება	2355,1	2319,9	98,5
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	1741,8	1739,7	99,9
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	567,5	543,8	95,8
04 04	განათლების ღონისძიებების პროგრამა	45,8	36,3	79,3

ა) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 27 სკოლამდელი-სააღზრდელი დაწესებულებაში რეგისტრირებულია 1380 აღსაზრდელი. დაფინანსდა აღსაზრდელთა დღეში ორჯერადი კვება. თითოეულ ბავშვზე კვების ხარჯმა დღეში საშუალოდ 2,58 ლარი შეადგინა. ასევე მოქმედებს გახანგრძლივებული ჯგუფები სადაც რეგისტრირებულია 700 ბავშვი მათი კვება ერთ ბავშვზე შეადგენს 0,58 თეთრს,

ყველა ბაღში სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად მოხდა სამფაზიანი ელენერგის შეყვანა რათა უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით სამზარეულოები გადავიდეს ელექტრო ქურებით სარგებლობაზე

- საბავშვო ბაგა-ბაღები სტანდარტის შესაბამისი პირობებითაა უზრუნველყოფილი,

ბ) საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02)

განხორციელდა საჯარო სკოლებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ქალაქიდან სოფელში და სოფლიდან ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე 224 მასწავლებელთა სუბსიდირება. მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების საფუძველზე განხორციელდა 1127 საჯარო სკოლის მოსწავლის ტრანსპორტით უზრუნველყოფა

2021 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლებში რეაბილიტირდა 1 სკოლა. საერთო ჯამში 323 მდე ბენეფიციარმა მიიღო აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი.

დაფინანსდა შემდეგი პროექტი:

ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია

გ) განათლების ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 03)

განათლების ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა: სენაკის არტ ფესტივალი, განხორციალდა პროექტი ეტალონი, საბავშვო არქეოლოგია და ფულადი ჯილდოები გადაეცათ წარმატებულ მოსწავლეებს.

5) კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებებზე გაწეული იქნა 1997,7 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2136,4 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 93,5 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 1088,7 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 777,1 ათასი ლარი, ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსდა - 16,9 ათასი ლარი, რელიგიური ორგანიზაციები 80,0 ათასი ლარი, საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა დაფინანსდა - 35,0 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	პროცენტი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2136,4	1997,7	93,5
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1106,5	1088,7	98,4
05 01 01	სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა	400,0	399,6	99,9
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	230,0	228,6	99,4
05 01 03	სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა	15,0	13,6	90,9
05 01 04	სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	461,5	446,9	96,8
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	888,6	777,1	87,5
05 02 01	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	533,6	526,0	98,6
05 02 02	ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაში	215,0	215,0	100,0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების პროგრამა	90,0	33,2	36,9
05 02 05	კულტურული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	50,0	2,9	5,8
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	26,3	16,9	64,1
05 05	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	80,0	80,0	100,0
05 06	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	35,0	35,0	100,0

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს 2021 წელს პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი ჰქონდა სხვადასხვა სახის კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები. „ქვეყანაში გავრცელებულმა COVID-19 ვირუსის გავრცელების გამო შეიზღუდა აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება,

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ჭიდაობა, ძიუდო, კრივი, კარატე-დო, კალათბურთი, რაგბი, ტაეკვანდო) ჩატარებულ რაიონულ და საქალაქთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებმა

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სპორტულ გაერთიანებაში 2021 წლის განმავლობაში (პროგრამული კოდი 05 01 01)

სპორტული ღონისძიებისათვის დაიხარჯა 40654 ლარი., სპორტის შემდეგ სახეობებში:

- ბერძნულ/რომაული ჭიდაობა- 11647 ლარი (12-14 აპრილი რუსთაველი საქ. ჩემპიონატი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის ორი-1ლი ადგილი, ერთი-მე-3 ადგილი. 21-23 ბაშკირეთის დედაქალაქ უფაში ერთი მე-2 ადგილი.)
 - კრივი-3819 ლარი (24-28 თებერვალი ბათუმში საქართველოს ჩემპიონატი კრივში ერთი მე-3 ადგილი. 14-18 აპრილი საქართველოს ჩემპიონატი კრივში ერთი მე-2 ადგილი, ერთი მე-3 ადგილი.
 - ძიუდო-8985 ლარი (26-28 თებერვალს ძიუდო/სამზო საქართველოს პირველობაზე-ერთი მე-3 ადგილი, 27-29 აპრილი საქართველოს ჩემპიონატი გოგონათა შორის ერთი მე-2 ადგილი, ორი-მე-3 ადგილი. 20-25 ოქტომბერი პორტუგალიაში ვეტერანებს შორის ერთი მე-3 ადგილი)
 - ჭადრაკი-1463 ლარი
